



3601/3-2/22 2 19042022

3601/3-2/22

19-04-2022

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანს

ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

„თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 6-ე მუხლის პრიმა პუნქტის თანახმად „სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონის ორგანიზაციული დოკუმენტია **საქართველოს ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმა**, რომელიც არის სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტებით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების შესრულებისათვის პასუხისმგებელი უწყებების დროში გაწერილი სამოქმედო გეგმების ერთობლიობა“ და მტკიცდება მთავრობის მიერ.

საქართველოს არ გააჩნია განახლებული არც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია 2011 წლიდან და არც საფრთხეების შეფასების დოკუმენტი და არც ეროვნული თავდაცვის სტრატეგია.

გთხოვთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლით მონიჭებული უფლების ფარგლებში, მომაწოდოთ ინფორმაცია რა სტადიაშია **საქართველოს ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმის დამტკიცების პროცესი და როდის იგეგმება მისი მიღება.**

ასევე როდის იგეგმება ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის პროექტის შემუშავება/განხილვა.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია





ეროვნული უსაფრთხოების საბჭო
NATIONAL SECURITY COUNCIL



№ 562



27/04/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თეონა აქუბარდიას

ქალბატონო თეონა,

თქვენი **19.04.2022 წლის №3601/3-2/22** წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის კოორდინაციითა და სამოქალაქო საზოგადოებისა და უცხოელი პარტნიორების აქტიური ჩართულობით, უწყებათაშორის ფორმატში, შემუშავდა საქართველოს **ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია**. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს დოკუმენტის განახლება უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევების შესაბამისად. **ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის** საქართველოს პარლამენტისთვის გადაგზავნა, მისი დამტკიცების მიზნით, უახლოეს მომავალში იგეგმება.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი, პარალელურ რეჟიმში, მუშაობს **საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტისა და ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის** განახლებაზე, უსაფრთხოების ახალი გამოწვევების/პარადიგმების შესაბამისად.

როგორც თქვენთვის ცნობილია, „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, **ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას** უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის ყველა ეროვნული და უწყებრივი დონის დოკუმენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, **საქართველოს ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმა** შემუშავდება მას შემდეგ, რაც ეროვნული დონის კონცეპტუალურ დოკუმენტებზე (**ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი და ეროვნული თავდაცვის სტრატეგია**) შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში დასრულდება მუშაობა.

პატივისცემით,

ვახტანგ გომელაური

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი
შინაგან საქმეთა მინისტრი

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'V. Gomeri', with a long horizontal stroke underneath.